# ტექნიკური დავალება

*დასასვენებელი პარკის კონცეპტუალური პროექტის შედგენა*

**ძირითადი მონაცემები:**

- ობიექტი მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ბოლნისში (41.453270, 44.576401) (41.452022, 44.562747)
- პარკის საორიენტაციო ფართობი 1200 მ 2
- მიმდებარე შენობებისა და არსებული ბუნებრივი ლანდშაფტის ფოტოფიქსაცია
- მიმდებარე მცენარეების ფოტოფიქსაცია
- სიტუაციური გეგმა, ტერიტორია, რელიეფი (ცვლადი)
- მიმდებარე ნაგებობა (ბოლნისის ეროვნული მუზეუმი) და არსებული ბუნებრივი ლანდშაფტი;
- მიმდებარე (არსებული) მცენარეული საფარი;
- არსებული ან დასაპროექტებელი საავტომობილო გზები და საცალფეხო ბილიკები;
- განაშენიანებული ტერიტორიის გენერალური გეგმა;

**პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნები და რეკომენდაციები:**

- შეიმუშავოს დენდროლოგიური გეგმა - გამწვანების გეგმა, გაზონებისა და საყვავილეების მოწყობა. გამწვანებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ისეთი ბალახები და მრავალწლიანი მცენარეები, რომლებიც გამოსადეგი იქნება გამწვანებისათვის ან რომლებიც დამახასიათებელია ამ რეგიონისათვის. ნარგავებმა არ უნდა შეზღუდონ თავისუფალი სივრცე და ხილვადობა.

- შეადგინოს განმარტებითი ჩანაწერი, სადაც აღნიშნული იქნება ლანდშაფტის არქიტექტორის/დიზაინერის ძირითადი იდეები და ჩანაფიქრები, ტექნიკური და სტილისტური გადაწყვეტილებები;

- შექმნას პარკის ესკიზები ვიზუალიზაციისათვის;

- შეიმუშავოს განლაგების გეგმა, სადაც ზუსტად იქნება განსაზღვრული საპროექტო სტრუქტურების ადგილმდებარეობა, მცირე არქიტექტურული ფორმები ან სხვა ელემენტები;
ნახაზზე აღნიშნული უნდა იყოს ამჟამად არსებული ობიექტები (არსებული ხეები და სასმელი წყლის შადრევანი)

- ალპინარიუმის, კლდოვანებისა და ყვავილნარების პროექტების შედგენა, რომელიც უნდა მოიცავდეს:
> განლაგების ნახაზს;
> კლდოვანების მოწყობის სქემას;
> მცენარეების განლაგების სქემას;
> ასორტიმენტის ჩამონათვალს;

- სასეირნო ბილიკების ქსელის შედგენა;
- კომპლექსური სათამაშო მოედნის პროექტირება;
- სპროტული მოედნის მოწყობის შესაძლებლობის გადახედვა;
- გამოყენებულ უნდა იქნას არსებული სასმელი წყლის შადრევანი;
- პროექტირებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას დასასვენებელი სკამები, საპიკნიკე ტერიტორია (ბარბექიუ), ტეიტორიის შემოღობვა;

- გათვალისწინებულ უნდა იქნას ასევე საზოგადოებრივი ტუალეტის დადგმა (შშმ პირებისათვის ადაპტირებული);
- სადრენაჟო / სარწყავი სისტემის პროექტირება;
-არქიტექტურული და ლანდშაფტური განათება;
-ლანდშაფტური დაგეგმარება;
- ღვინის შოურუმის ნაგებობის „ბოლნისის ღვინის სახლის“ აშენების გათვალისწინება;
- პარკის ტერიტორიაზე (41.452022, 44.562747) ავტოსაგომის მოწყობა;

**წინადადება:**

- პროექტირების ხარჯთაღრიცხვა;
- ლანდშაფტური მოწყობის ხარჯთაღრიცხვა;
- ლანდშაფტური პროექტირებისა და მოწყობის სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი;
- სარგავი მასალების სპეციფიკაციები (მაგალითად, მცირე არქიტექტურული ფორმების და სხვ.)
- პარკის მოვლასთან დაკავშირებული რეკომენდაციები;
- ავტოსაგომის მოწყობის ხარჯთაღრიცხვა;